ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის შესახებ №Შ-1

ქ. თბილისი 10 თებერვალი, 2015

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი", მისი თავმჯდომარის ზურაბ წერეთელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „არტპალასი", მისი დირექტორის, მაკა შავგულიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი და ობიექტი

1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ 2015 წლის 12 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლის – პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტის ორგანიზების მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2. ხელშეკრულების ობიეტია მიმწოდებლის 2015 წლის 12 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლის – პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტის ორგანიზება თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი №1 საფუძველზე), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანების შესაბამისად ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდია 79952100 (კულტურული ღონისძიებების ორგანიზება).

2. შესყიდვის საერთო ღირებულება

1. ხელშეკრულების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2. ხელშეკრულების ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 80 430 (ოთხმოცი ათას ოთხასოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის ღირებულება დეტალურად მოცემული ხელშეკრულებას თანდართული ხარჯთაღრიცხვით, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

3. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი

1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება არაუგვიანეს 2015 წლის 12 თებერვლისა.
2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 მარტის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1. ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია – ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" თავმჯდომარე ზურაბ წერეთელი და საიუბილეო და საფესტივალო კულტურული ღონისძიებების კურატორი ნანა გიორგაძე.

6. ანგარიშსწორება

1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორებით.

2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება, წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე და მომსახურებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში.

3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს, ხელშეკრულებაში მოცემული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი ხარჯვითი დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო/სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის დასრულების ვადას.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა

1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება/ინსპექტირება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

ბ) მოსთხოვის მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

2. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება.

3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) შეასრულოს მასზე ნაკისრი მოვალეობები მაღალი პროფესიონალიზმითა და ხარისხით;

გ) პასუხისმგებლობით მოეკიდოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დასაფინანსებელი სამუშაოების განხორციელებაზე და მის ხარისხზე კონტროლი;

ე) გაითვალისწინოს შემსყიდველის მოსაზრება მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში;

ვ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოების განხორციელებაში შესაბამისი პროფესიონალების მონაწილეობა.

5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

6. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. თუ მიმწოდებელი შემსყიდველის წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და მოითხოვოს გადახდილი თანხის სრულად უკან დაბრუნება ან არ შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი სახის დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. გარდამავალი და დაკვნითი პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და მეორე პირი მიმწოდებელთან).

2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებებით მინიჭებული უფლებები და დაკისრებული ვალდებულებები, ზუსტად იციან ამ დებულებების შინაარსი და საჭიროების შემთხვევაში მიღებული აქვთ შესაბამისი იურიდიული კონსულტაცია.

4. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ან/და დაუზუსტებელი დებულებების მიმართ რიგითობის წესით მოქმედებს „კვალიფიციური დუმილისა“ და „კანონის ანალოგიის“ პრინციპი. ხსენებულ შემთხვევაში მხარეები პირველყოვლისა ითვალისწინებენ პარტნიორულ ურთიერთობაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს, ხოლო ამის შემდეგ კი მიმართავენ საქართველოს კანონმდებლობას.

5. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილების, სასამართლო გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულების ნამდვილობაზე, ხოლო, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები რათა ხელშეკრულებაში შეტანილი იქნას ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი“ ს/კ: 404906170 მის. ქ. თბილისი, ჟ. შატავას ქ. 7 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის კოდი: TRESGE22 ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22 ----------	შპს „არტპალასი“ ს/კ 406076561 მის.: ქ. თბილისი, გ. სააკაძის მეორე გასასვლელი, №4 ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ბანკის კოდი: UGEBGE22 ა/ა GE17 VT66 0000 3833 8036 02 ----------
თავმჯდომარე	დირექტორი
ზურაბ წერეთელი	მაკა შავგულიძე

დანართი №1

ხარჯთაღრიცხვა

(მოცემულია ლარებში)

№	დასახელება	ერთეული	ერთეულის ფასი	ჯამი
1	სპორტის სასახლის იჯარა	5	7 000	35 000
2	სპორტის სასახლის განათება			19 470
3	სპორტის სასახლის გახმოვანება			25 960
	სულ			80 430

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი“ ----------	შპს „არტპალასი“ ----------
თავმჯდომარე	დირექტორი
ზურაბ წერეთელი	მაკა შავგულიძე